დადგენილება № 86/2020 –სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სენატის 2013 წლის 5 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტიპენიდების გაცემის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

დადგენილება № 86/2020
15 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველიდა მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ემუხლის, 56-ემუხლისმე-3 ნაწილის, 57-ემუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 43),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სენატის 2013 წლის 5 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტიპენიდების გაცემის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ წარმოდგენილი დანართი № 2-ის სახით (კოდიციფირებული ვერსია იხ. დანართი 3);
2. დადგენილება გადაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ორივე ფაკულტეტის დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ორივე ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზეwww.tsc.edu.ge;
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე